# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისი 15.06.2013

**ახალ სასწავლო უნივერსიტეტსა და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტს შორის**

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით აკადემიური პროგრამების ეფექტური განხორციელების და ბიზნეს ადმინისტრირების მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის, სასწავლო-მეთოდური გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და აკადემიური ურთიერთგაცვლის საერთო ამოცანებიდან გამომდინარე, მხარეები, ერთი მხრივ, ახალი სასწავლო უნივერსიტეტი და მეორე მხრივ, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი თანხმდებიან, რომ მათი ურთიერთთანამშრომლობის საგანი იქნება:

- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო-მეთოდური და საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- აკადემიური ურთიერთგაცვლა, რაც ერთი მხრივ, გული სხმობს განათლების სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, აკადემიური პერსონალის გაცვლას, ასევე სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების რეალიზაციას;
- ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, ოლიმპიადებისა და ტრენინგების ორგანიზება;
- განათლების ხარისხის განვითარების გაძლიერების მიზნით ერთობლივი წინადადებების შემუშავება და რეალიზაცია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- სტუდენტთა მიერ სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება და მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა;
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

მხარეები, ზემოაღნიშნული ამოცანების მისაღწევად და დაგეგმილი თანამშრომლობის პრაქტიკული რეალიზაციისათვის უფლებამოსილნი არიან საჭიროების შემთხვევაში გააფორმონ ხელშეკრულებები და გამოყონ შესაბამისი დაფინანსება და რესურსები.

ეს მემორანდუმი დადებულია 4 წლის ვადით და ექვემდებარება ავტომატურად იმავე ვადით გაგრძელებას, თუ ერთ-ერთმა მხარემ ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე წერილობითი შეტყობინებით არ განაცხადა უარი მის ავტომატურ გაგრძელებაზე.

მემორანდუმი დადებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

---

| ახალი სასწავლო უნივერსიტეტის | თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის |
|---|---|
| რექტორი | პრორექტორი |
| პროფესორი ლ. გაოდაფხაძე | პროფესორი კ. ყურაშვილი |